№ 144
ოთხშაბათი, 8 ივლისი, 1898 წ.

1877—1898

№ 144
ოთხშაბათი, 8 ივლისი, 1898 წ.

ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲦᲘᲠᲐ:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, № 1.
ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲘ.
ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოებისა და ქართულ წიგნების გამომცემელ ამხანაგობის წიგნის მაღაზიებში

ᲑᲣᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ილ. აღ ხაზიშვილისა

ᲤᲐᲡᲘ 60 ᲙᲐ�პ.

ვინც ზემოხსენებულ მაღაზიებიდგან დაიბარებს არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა 48 კ.
ათის ცალის გაგზავნა ღირს 37 კ. (20—84—11)

ᲕᲘᲣᲕᲐᲜ

სხვა-და-სხვა სასწავლებლის **ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲡ** 1 სექტემბრიდგან ჩემს სახლში

ᲓᲐᲡᲐᲒᲘᲜᲐᲕᲔᲑᲚᲐᲓ

ხელ-მისაწვდენ ფასად. მობარებულ მოსწავლეებს ექმნებათ რიგიანი თავშესაფარი და საჭმელ-სასმელი.

მსურველმა მოიკითხოს „ივერიის“ რედაქციაში. (6—უ.—1)

ᲕᲘᲣᲕᲐᲜ

ᲡᲮᲕᲐ-ᲓᲐ-ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲔᲑᲡ 1 სექტემბრიდგან ჩემს სახლში

ᲓᲐᲡᲐᲒᲘᲜᲐᲕᲔᲑᲚᲐᲓ

ხელ-მისაწვდენ ფასად. მობარებულ მოსწავლეებს ექმნებათ რიგიანი თავშესაფარი და საჭმელ-სასმელი.

მსურველმა მოიკითხოს „ივერიის“ რედაქციაში. (6—უ.—1)

ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ ᲒᲐᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲤᲐᲡᲐᲓ:

თხზულებანი ალ. უაზბეკისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი, ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე.	1—„
თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი	„—50
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი	„—10
ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი (ჭსეკდოხმი) . .	„—20
თხზ. ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I ტომი	„—70
იგივე II ტომი.	„—60
იგივე III ტომი	„—60
იგივე IV ტომი (ორ წიგნით)	„—80
სოფლის ჯუნჭუდა დ. მაჩასანელისა.	„—10
თხზულებანი აკაკისა I ტ.	„—60
„ „ იგივე II ტ.	„—60
თხზ. რ. ერისთავისა I ტ.	„—60
არაკები სახა ორბელიანისა, ბავშვებისათვის	„—25
სიბრძნე-სიცრუე მისივე . .	„—40
საქართველო და მისი წარსული დრო პოტტოსი . . .	„—20
აივენგო კოლტერ სკოტისა	„—50
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	„—15
გაბრიელ ეპისკოპოსი სურათით	„—15
სამზარეულო ქართული და ევროპიული საჭმელებისა . .	1—20
ღვინის დაყენება პროფესორის ვ. პეტრიაშვილისა . .	1—50
ბალავარი	„—30
ტეტხლითა და მახვილითა . .	„—80
დასტურ-ლამა	„—10

ვინც აქ გამოცხადებულ წიგნებს ყველას ერთბაშად იყიდის, დაეთმობათ 14 მანეთათ. ქალაქ გარეშე მცხოვრებთ გაეგზავნებათ წიგნები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წიგნების ღირებულებასთან ფოსტის ხარჯსაც გამოგზავნიან ერთს მანეთს.

ამ ფასებად წიგნები გაიყიდება მხოლოდ 1 ოქტომბრამდე.

წარსულის წლების ჟურნალი „მოამბე“ გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ. წ.—7 მანეთად და 1896 და 1897 წ. წ.—5 მანეთად. მხოლოდ ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის „მოამბე“-ზედ ფოსტის ხარჯად 60 კაპ. უნდა გამოგზავნონ. (10—6—4)

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ს. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ, 11—12 საათ.

სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘ, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. **ს. ი. ᲠᲣᲓᲔᲜᲙᲝ.** $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

ზ.ი. ᲑᲐᲑᲐᲜᲐᲡᲘᲐᲜᲪ.—დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

ი. თ. ᲑᲠᲝᲢᲐᲡᲔᲕᲘᲩ. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

ს. Გ. ᲙᲐᲠᲐᲒᲔᲢᲘᲐᲜᲪ. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

Ა. Ბ. ᲑᲣᲠᲙᲝ. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. ᲛᲐᲮᲕᲘᲚᲐᲫᲔ.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ბ. ს. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ—$6^1/_2$—7 საათ.

ს. ნ. ᲨᲕᲐᲒᲝᲕᲡᲙᲘ—6—7 საათ. ნევრვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

ტ. ი. ᲠᲣᲓᲔᲜᲙᲝ—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისთვის—მორიგებით.

ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (წ)

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

დათხოვნილ იქმნა ორის თვის ვადით საზღვარ-გარეთ ტფილისის გუბერნიის გამგეობის სამკურნალო განყოფილების შტატს გარეშე მკურნალი, კოლეგსკი ასესორი გრ. ᲢᲐᲠᲡᲐᲘᲫᲔ.

† თავ. ალექსანდრე მერაბის ძე ჩხეიძე

(წერილი ქუთაისიდგან)

18 ივნისს ქ. ქუთაისს, ბ-ნ თოფურიას საავადმყოფოში უეცრად წვეთის დაცემით გარდაიცვალა თავ. ალექსანდრე მერაბის ძე ჩხეიძე. თ. ალექსანდრე ჩხეიძე იყო 60 წლისა, სწავლა-განათლება მიიღო ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, სადაც კურსი ჩინებულად დაამთავრა; შემდეგ უმაღლესი სწავლა-განათლება განაგრძო პეტერბურგის უნივერსიტეტში, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზის გამო მეოთხე კურსზედ თავი დაანება სწავლას და დაბრუნდა თავისს სამშობლოში. დაბრუნებისას არ უძებნია სამსახური, იგი დარჩა სამშობლო სოფელში და განაგებდა მამის მამულს მამისავე მინდობილობით.

1880 წელს, მამის გარდაცვალების შემდეგ, თავადი ალექსანდრე შეიქმნა სრული გამგე თავისის მამულისა და ქონებისა. აქედგან იწყება მისი ქველ-მოქმედება და მოღვაწეობა მშობელ საზოგადოების საკეთილდღეოდ. 1881 წ. შენდებოდა ადგილობრივი ეკკლესია, რომელსაც თვალ-საჩინო შემწეობა აღმოუჩინა. 1884 წ. წინადადება მისცა საზოგადოებას თავისის საშუალებით მოეწვია მეორე მასწავლებელი და ეძღია სამას-სამასი მანეთი წლიურად. საზოგადოებამ, მადლობისა და სიხარულის მაგიერ, უარი უთხრა, რამაც ძლიერ დააღონა, მაგრამ მაინც არ გასტეხია გული. 1887 წელს იგი იქმნა არჩეული სკოლის მზრუნველად, რომელიც იმ დროს ერთ კლასიანი იყო. ამის შემდეგ ბრწყინვალე თავადს უსრულდება თავის გულთნადები, ის უახლოვდება თავისს სა-

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲩᲜᲓᲐ ᲤᲣᲚᲘᲡ ᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ.

(ოტტო ზეკას წერილი)

(დასასრული *)

ამგვარი მდგომარეობა დროთა ვითარების გამო უსათუოდ უნდა შეცვლილიყო: გაჩნდა საზოგადოებრივი ცხოვრება, დაიწყეს შრომის განაწილება, ხოლო შრომის განაწილებას ხომ აღებ-მიცემობაც თან ახლავს. ამას ზედ ისიც დაერთო, რომ ეხლა ქვის იარაღის მაგიერ ლითონის იარაღი და ავეჯი შემოიღეს; ქვისა, ხისა და კაჟის იარაღის კეთება ყველა გლეხს შეეძლო, მაგრამ ლითონისაგან რომ რამე იარაღი გაეკეთებინათ, ამას-კი განსაკუთრებულის ხელობის ცოდნა ეჭირვებოდა. ამ გვარად მოხელეთაგან პირველად მჭედელი გაჩნდა. რადგანაც მჭედლის ხელ-საქმე ამ დროს ძლიერ ძვირად ჰღირდა და ერთსა და იმავე ალაგს მყიდველი ცოტა იყო, ამისათვის მჭედელს ამ ერთის ხელობით ერთსა

*) იხ. „ივერია“, № 143.

და იმავე სოფელში თავის რჩენა არ შეეძლო. იგი გაეკეთებდა თუ არა ლითონის სხვა-და-სხვა სამკაულსა და იარაღს, რომელსაც ველურები ეტანებოდნენ, წაიღებდა სხვა-და სხვა კუთხე-ქვეყანაში გასასყიდად. ამ აღებ-მიცემობაში ძველებურ ფასის საზომავს და საერთო გასაცვლელს ნიშანს პირუტყვს უნდა ვაეწია სამსახური, მაგრამ აბა სწორედ აქ გამოჩნდა მისი უვარგისობა. უცხო ქვეყნიდგან მოსული ვაჭარი სავაჭროში ხარსა და ძროხას ვერ აიყვანდა იმიტომ, რომ სამშობლოში იმ უცხო ვაჭრისთვის პირუტყვის წაყვანა ან შეუძლებელი იყო და ან დიდს ხარჯსა და ჯაფას მოითხოვდა; ან რა იცოდა, რომ აქ სავაჭროში აყვანილი პირუტყვი იმავ ფასად გაიყიდებოდა იმის სამშობლოშიაც. ამ მოსაზრებით ვაჭარი ყოველთვის პირუტყვის მაგიერ ისეთ რამ ნივთს თხოულობდა, რომელიც მსუბუქი და ადვილი წასაღები იყო. ხოლო ამ გვარ ნივთებად ითვლებოდა: ბრიტანიის კალა, ესპანიის ვერცხლი და ქარვა; სადაც ეს ლითონები არ იყო, იქ ვაჭარი ჰყაბულდებოდა მატყლს, ტყავს და სხვა ამ გვარ საჭირო ნაწარმოებსაც.

სულ სხვა დამოკიდებულება დამყარდა სოფლად მჭედელთან მას შემდეგ, როცა ლითონის იარაღი ოჯახში უსათუო საჭიროებად გახდა. როდესაც ლითონის ხმარება სოფლად იმდენად გახშირდა, რომ მჭედელს სხვაგან წაუსვლელად, თავისს სოფელში შეეძლო თვისის ხელობით ოჯახის რჩენა, მჭედელმა ხელი აიღო მიწის მუშაობისაგან და ხელი მოჰკიდა მარტო განსაკუთრებით მჭედლობას. პირველად გლეხი მჭედელს შრომაში აძლევდა ტანისამოსს, ფეხსაცმელს, კვერცხს, რძეს, ხორცს, პურსა და ოჯახისათვის სხვა-და-სხვა საჭირო ხორაგეულობა-ნაწარმოებს; მაგრამ იმაზედ მეტი ხორაგეულობის მიღება, რაც არ სჭირდებოდა მჭედელს ოჯახისათვის, აღარ შეეძლო; პირუტყვი, რომელიც ფულის მაგივრობასა სწევდა ძველად, ხელოსნისათვის ეგოდენს საგანძურს არ შეადგენდა, როგორც მიწის მუშისათვის; თუ მყიდველს სხვა არაფერი მოეძევებოდა სავაჭროს გასასტუმრებლად, მაშინ არც პირუტყვზედ იტყოდა უარს, მაგრამ ყველაზედ უფრო მჭედელი აფასებდა იმ ნივთიერებას, რომელიც მისს ხელობის მასალას შეადგენდა: პირველად ბრინჯაოს, ხოლო შემდეგ რკინას. ამისათვისაც გლეხებს მჭედელთან სავაჭროში გასაცვლელად მოჰქონდათ ძველი, სახმარებლად უვარგისი ლითონის იარაღები და ნამტვრევები, რაშიაც მჭედელი შედარებისა დაგვარად აძლევდა ახალს იარაღს და სამკაულს. რადგანაც მჭედელი სოფლად ერთად ერთი კაცი იყო, რომლისაგანაც გლეხს შეეძლო ეყიდნა ყოველივე, რაც-კი იყო მისის ოჯახისათვის საჭირო, ამიტომაც საკვირველი არ არის, რომ მჭელის ხელობის მასალა ცოტ-ცოტად ფასის გასასტუმრებელ ნიშნად გარდაიქცა. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ლითონს ფასი არასოდეს არ დაუვარდებოდა, რა დროსაც-კი მიუტანდა მჭედელს ვინმე, იგი ან იარაღს იძლეოდა, ან მისის საჭიროების მიხედვით, ხორაგეულობას, რომელიც იმისთვის საჭირო აღარ იყო. ამ გვარად, ლითონი შეიქმნა საყოველთაო გადასაცვლელ ნიშნად.

ამ გარემოებამ ძლიერ დააჩქარა ფულის ხმარების შემოღება. ორი ხარი ერთმანეთისაგან უსათუოდ რითიმე განირჩევიან და, რასაკვირველია, კაციც ერთ მათგანს აირჩევს, მაგრამ ორი ერთისა და იმავე წონისა და ერთ გვარი ნაჭერი ლითონი, რომელიც უნდა აირჩიო, ორივ ერთია. ამას გარდა ლითონი ადვილი წასაღები და შესანახავი იყო და არავითარს ხარჯს არ თხოულობდა. დასასრულ, ლითონის უპირატესობა ამ შემთხვევაში ისიც იყო, რომ იგი ნაწილებადაც ადვილად იყოფებოდა. წვრილმანი ვაჭრობის დროს პირუტყვით რისიმე ყიდვა შეუძლებელი იყო. მაგალითად, რკინის ერთს ლურსმანში მყიდველს ერთის ცხვრის მეასედი ნაწილი მაინც უნდა მიეცა და ეს ხომ შეუძლებელი იყო, რადგანაც სხვა-და-სხვა ასო ცხვრის ხორცისა სხვა-და-სხვა გვარად ჰფასობდა; გარდა ამისა, ერთის ლურსმანისათვის მთელი ცხვარი უნდა დაეკლათ. ლითონი კი რამდენ ნაწილადაც უნდა გაგეყოთ, სულ ერთი იყო; ჯერ ეს ადვილი საქმე იყო და მერე ოთხი მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსა და მისწრაფებას. მართლაც, 1888 წ. მისის მეთაურობითა და დახმარებით ერთ-კლასიანი სკოლა იქმნა გადაკეთებული ორ-კლასიანად, რომლის შენობაც თავისის საკუთარის ხარჯით ააგო. 1890 წ. სკოლას უყიდა საეზო და საბაღე ადგილი. 1894 წ. ააგო საქალებო სკოლის შენობა, 1897 წ., როდესაც ზემოხსენებული სკოლა გადაკეთებულ იქმნა ორკლასიან-ნორმალურად საეგრონომიო განყოფილებით, იკისრა თავისის ხარჯით სკოლისათვის ქვის შენობის აგება და საჭირო მიწა მიუმატა საბაღე ადგილს. შენობა-კი დაწყებულია და შენდება კიდეც.

მარტო ამითი არ ისაზღვრება თავადის ქველ მოქმედება, იგი უხვად ნივთიერს დახმარებას აძლევდა ყველა კეთილ დაწესებულებას და თანაგრძნობით ეგებებოდა. ძნელად მოიპოვება ჩვენში კაცი, რომლისაგან რაიმ დახმარება არ მიეღო. ასეთი იყო თავადი ალექსანდრე სამშობლო საზოგადოებისათვის; ამ ნაირი იყო მისი მოქმედება მშობელ სოფლის საკეთილდღეოდ, ასეთი ძვირფასი კაცი და ნუგეში დაჰკარგა ჯიხაიშმა საუკუნოდ 18 ივნისს. ასეთის მოღვაწეობისათვის ხალხის სწავლა-განათლების სასარგებლოდ უმაღლესად დაჯილდოებულ იქმნა განსვენებული თავადი სტანისლავის მესამე ხარისხის ორდენით 1895 წ.

განსვენებულის ცხედარი გამოსვენებულ იქმნა ქუთაისიდგან 19 ივნისს: 4 საათზედ საზოგადოება შეიკრიბა ქუთაისის საკათედრო ტაძარში, სადაც ესვენა ცხედარი თავადისა და საიდგანაც, ყოკლად უსამღვდელოესის, იმერეთის ეპისკოპოსის ბესარიონის მიერ, პანაშვიდის გადახდის შემდეგ წასვენებულ იქმნა ორპირის ქუჩით.

კუბოს ამშვენებდა მრავალი გვირგვინი, რომელთა შორის იყო დიდის-ჯიხაიშის საზოგადოებისაგან წარწერით: „ჩვენს დაუვიწყარს და მუდმივს მოღვაწეს თავ. ა. ჩხეიძეს“. ს. დიდ ჯიხაიშის სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებელთაგან და სხვ... დიდი ჯიხაიშის საზღვარზედ განსვენებულის ცხედარს მოეგება დიდ-ძალი ხალხი და აქედგან კუბო ხელით წაასვენეს თავისს სასახლეში.

23 ივნისს, დასაფლავების დღეს, დილის 9 საათზედ, ცხედარი გამოსვენებულ იქმნა სასახლიდგან. აქაც დიდ ძალი საზოგადოება იყო შეკრებილი. განსვენებულის ცხედარი გზაზედ დასვენებულ იქმნა სკოლის წინ, სადაც საგანგებოდ იყო ძაძით მოსილი ჭიშკარი და დამწკვრივებულ იყვნენ ძაძით მოსილნი შეგირდები. აქვე მასწავლებელმა და ერთმა მოსწავლემ მიმართეს განსვენებულის ცხედარს სიტყვით.

10 საათზედ მიცვალებული შეასვენეს ეკკლესიაში, სადაც მწირველი ბრძანდებოდა ყოვლად უსამღვდელოესი იმერეთის ეპისკოპოსი ბესარიონი. ნაწირვებს განსვენებულის ღვაწლის აღსანიშნავად სიტყვა წარმოსთქვა მღვდელმა ს. დევიძემ.

საუკუნოდ იყოს შენი ხსენება, პატიოსანო გვამო!..

ახალი ამბავი

∴ ქალაქის გამგეობას მრავალი თხოვნა მისდის ღარიბ მცხოვრებლებისაგან, ქალაქის ცალიერი მიწები ჯარით მოგვეცით, რომ ზედ სახლები ავაშენოთო. ქალაქის გამგეობამ დაავალა თავისს ინჟენერს, დაანაწილოს ქალაქის ადგილი „ნაძალადევს“ უბნის ზემოდგან, ნადიროვის ადგილების მახლობლად. ამ ჟამად ინჟენერს ეს უკვე დაუმთავრებია. ეს ადგილი ქალაქისა დაყოფილია ნაწილებად თითო მოსახლისათვის 80,100 და 150 ოთხ კუთხი საჟენი. ამ ადგილებს შორის იქმნება კარგა განიერი ქუჩები და ერთი მოედანი. ამ ადგილებს ძლიერ მალე მისცემენ ჯარით მსურველებს.

∴ მთავრობის განკარგულებათა კრებულის მე-77 № ში დასტამბულია უმაღლესი განკარგულება იმის შესახებ, რომ ხაშურიდგან ბათუმამდის ნავთის მილის გასაყვანად საჭირო მამული დაუყოვნებლივ უნდა დათმობილ იქმნას მეპატრონეთაგანაო.

∴ ტფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა ქალაქის გამგეობის მიერ ახლად წარდგენილი ნიხრი სანოვაგისა. ამგვარად დღეიდგან გირვანქა ძროხის ხორცი ეღირება 7 კაპ. და გირვანქა ცხვრის ხორცისა — $8^1/_2$ კაპ.

∴ მეტივეების ვექილის ნაფიც ვექილის თანაშემწის ბ-ნ ჯაბადარის თხოვნის გამო, კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწემ ა. ა. ფრეზემ ბრძანება გასცა, რომ განთავისუფლებულ იქმნას ის ტივები, რომელნიც დაბეჭდილ იქმნენ გადასახადის შეუტანლობისა გამო, და არა სხვა რომელიმე ნიზეზით და შემდეგშიაც მოსპობილ იქმნას ტივის გადასახადის მოკრება. ეს ბრძანება ოფიციალურად ეცნობა ტფილისის გუბერნატორს.

∴ ტფილისის ქალაქის გამგეობას შეეკითხა ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელი იმის შესახებ, რომ რა გზა მიეცით იმ ოქმს, რომელშიაც მოხსენებული იყო შეურაცხება 15 ივნისის საბჭოს კრების თავმჯდომარისა ხმ. ლ. თ. ტიგრანოვის მიერო.

∴ ტფილისსა, აღზევანსა, ვოზდვიჟენსკსა და თიანეთში დაარსებულ იქმნება განსაკუთრებული კომისია, რომელიც მსურველთ გამოსცდის ქვეითა ჯარისა, კავალერიისა, არტილერიისა და საინჟენერო ჯარის სათადარიგო პრაპორშჩიკის ხარისხის მისაღებად.

∴ სატახტო ქალაქების გაზეთები სწერენ, რომ ამ ჟამად პეტერბურგს დაარსდა განსაკუთრებული ამხანაგობა, რომელსაც აზრადა აქვს კავკასიის სამხრეთ ადგილებში თამბაქოს პლანტაციები გააშენოს სიგარების დასამზადებლად. ამ აზრით ამ ხანაგობამ უკვე 100 დესეტინა მამული იყიდა.

∴ ქალაქის არც ერთი ნაწილი არ არის ისე მივიწყებული, როგორც ამ ჟამად დიდუბეა. ქუჩები არ არის მოკირწყლული ქვით, პოლიციელი არსად მოიპოვება და ეტლის დაჭერა რომ გინდოდეს, მუშტაიდის ბაღს უნდა გასცილდე და იქ თუ ჰნახავ. ასე გასინჯეთ, გაზეთის მატარებლებისაგანაც-კი მივიწყებულია დიდუბე. ასე ჰგონია კაცს, ქალაქში კი არა, მიყრუებულს სოფელში სცხოვრობსო.

∴ წელს ნიკოლოზის საგენერალო შტაბის აკადემიაში სწავლა დაამთავრა ხუთმა კავკასიელმა, რომელთა შორის ერთი ქართველია, სახელდობრ კაპიტანი მდივანი.

∴ ტყის დამცველმა ტფილისის კომიტეტმა ამა წლის 15 ივნისს დაადგინა დაცულ და შეკრულ იქმნას: თელავის სატყეო აგარაკი, რომელიც თელავთან მდებარეობს. ეს ტყე შეიცავს 552 დეს. 400 ოთხ. კუთხ. საჟ. და ეკუთვნის თავად რუსიშვილთა და ვახვახიშვილთ, იარალოვს, სულხანიშვილისას, სოგროევს, კიკნაძეს, ხორსენოვს, შიუკაშვილს და ჯავახიშვილს. ამ ტყის თვალ-ყურის ჭერა მინდობილი აქვს თელავის ტყის უფროსს. სიღნაღის მაზრაში შემდეგი სატყეო აგარაკები: ბაკურციხისა, ჩალაუბნისა, მელაანისა, ფხოველისა, ზიარისა, გურჯაანისა, ვეჯინისა და კოლაკისა; აგრეთვე თავადთა ტყეები: აგატო, ბებურო, ონანო და ედიშო ვაჩნაძეებისა, ანდრონიკაშვილებისა, აბაშიძეებისა, შალიკაშვილებისა, ჯორჯაძეებისა და სხვათა. ამ ტყეების თვალ-ყურის ჭერა მინდობილი აქვს სიღნაღის ტყის უფროსს და ბაკურციხისა და კოლაკის ბოქაულებს. ახალციხის მაზრაში ჯაშმანის სატყეო აგარაკი, რომელიც ეკუთვნის სტეფანე და კირილე კაჩხოშვილებსა და ბაღდასარ ბეზირგანოვის მემკვიდრეებს, იოსებ კოჩხოშვილს და ილია ბეზირგანოვს. ეს ტყე შეიცავს 2,000 დესეტინას. ამ ტყის თვალ-ყურის ჭერა მიენდო კობლიანის ტყის უფროსს.

∴ როგორც ტფილისის პოლიციმეისტრის მიერ შეკრებილ ცნობებიდგანა სჩანს, ტფილისის ჟურნალ-გაზეთობას 1897 წელს 252,150 მან. აუღია. აქედგან მარტო რუსულ ჟურნალ გაზეთობას 155,000 მან.

∴ დედათა წმ. ნინოს სასწავლებლის მე-VIII საპედაგოგიო კლასში ადგილის უქონლობისა გამო მიღებულ იქმნა მხოლოდ ორი დედათა გიმნაზიაში სწავლა დამთავრებული, სახელდობრ: ფონ კრუზენშტერნი და კნ. აბაშიძე.

∴ გაზ. „чер. вѣст.“ სწერს: ქ. ბათუმის შუამდგომლობა, რომ ნება მოგვეცით 600,000 მან. ავიღოთ საობლიგაციო სესხითაო, 30 ივნისს მინისტრთა კომიტეტმა განიხილა და შეიწყნარაო.

∴ სოფ. რომანეთი, (ქუთაისის მაზრა). რამდენიმე წელიწადი იქნება, რაც ჩვენი სოფელი მოკლებულია რიგიანად წირვა-ლოცვას. მართალია, ერთი ხის ეკკლესია მოგვეპოვება, მაგრამ ისეთ ნაირად არის დაძველებული, რომ ჭერი, ან კედელი, დღეს არა ხვალ უსათუოდ იმ. სხვერპლებს ვისმეს. არც თუ ვინმე ჰფიქრობს ამ ეკკლესიის განახლებას, თუმცა სოფელში 140 კომლი სცხოვრობს და ამოდენა ხალხი გულ-ხელ დაკრებილი შესცქერის დაძველებულს ეკკლესიას. არც მოწყობილება აქვს ეკკლესიას, იატაკის მაგიერ ოღრო-ჩოღრო მიწაა და ხატებიც, რასაკვირველია, არ არის ჯეროვანად განსპეტაკებული. მოთავეა, ბატონებო, საჭირო, თორემ განა ხალხი არა ჰხედავს ამას და განა არა ჰსურს კიდეც ეკკლესიის სხვაგან გადატანა და ან ამ ძველისავე განახლება? ეკკლესიის მახლობლად ერთის ვერსის მანძილზედ არის სასაფლაო, რომელიც ისეთ ნაირადაა უყურადღებოდ მიტოვებული, რომ ამ დღე საქონელი თავისუფლად დათარეშობს და ღორები ხომ იქაურობას იკლებენ, სჩიჩქნიან და სჩიჩქნიან გამალებული საფლავებს დინგით.

სწავლა-განათლების გავრცელების შესახებ ხომ მას აქეთ, რაც ბესარიონ კახაია სხვაგან გადავიდა, კრინტიც არავის არ დაუძრავს.

∴ სოფ. წესი, (რაჭის მაზრა). 11 ივნისს ამ სოფელში ერთი უბედური იქნება, მაგრამ ერთს გარემოებას მაინც უნდა მივაქციოთ აქ ყურადღება, რადგანაც იმას ეკონომიური მნიშვნელობა აქვს. ჯერ ისევ წარსულ საუკუნეში იყო გავრცელებული ის შემცდარი აზრი, რომ ვითომც თითოეულ ფულისათვის საკუთარი დარჯაკი ყოფილიყოს, ამ აზრის საფუძვლად ის გარემოება მოჰყავდათ, რომ ერთისა და იმავე უძველესის ფულის ცალი იშვიათი სანახავი იყო, მაგრამ ეხლა ამ გვარს ძველს ფულს ორ-ორსა და მეტსაც ყველა დიდს მუზეუმში შეხვდებით. ეს იმითი აიხსნება, რომ დარჯაკი ძველს დროში რკინისა იყო და ამ ლითონის სილბილისა გამო მალე ფუჭდებოდა, ამიტომ ერთი და იგივე დარჯაკი ბევრს ვერა სჭრიდა და იმის მაგიერად ახალს აკეთებდნენ. დარჯაკებს წინად მხატვრები სჭრიდნენ და რა ძვირადაც აფასებდნენ თავისს ხელობას, ეს იქიდგანა სჩანს, რომ დარჯაკზედ თავისს სახელსა და გვარს აწერდნენ. აქედგან ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ძვირად ეღირებოდა ფულის საჭრელი დარჯაკი და იმათი მოჭრილი ფული. ამიტომ დარჯაკით პირველს ხანს, რადგანაც იგი მალე ფუჭდებოდა, მარტო ძვირფასის ლითონის ფულსა სჭრიდნენ, ხოლო სპილენძი დიდხანამდის ისევ ძველებურად ჯოხის მსგავს ნიშნებით იხმარებოდა.

სპილენძის ფულის მოჭრა დაიწყეს მას შემდეგ (400 წ. ქრ. დაბადებამდის), რაც სასყიდლად შეიქმნა მცირე ფასიანი ნივთებიც, იმათ სასყიდლად თუნდა ერთის ქინძისთავის ოდენა ვერცხლიც რომ მიეცა, მყიდველი წაგებაში მოდიოდა. ამისთვის დაიწყეს სპილენძის ფულის მოჭრაც. ამგვარად, ეს უბრალო, მაგრამ გენიოსური გამოგონება ბერძნებს ეკუთვნის. ამ შემთხვევაში ისინი ჩვენი მასწავლებელნი არიან და მათგან გამოგონებულის ფულის ხმარება აკმაყოფილებს დღეს კულტურის ყოველგვარ მოთხოვნილებას და ფართოდ განვითარებულ შრომის განაწილებას. მართალია, ტექნიკის მხრივ ფულმა მას შემდეგ ბევრჯელ იცვალა გარეგნობა, მაგრამ საფუძველი მაინც ძველებური დარჩა.

იათეოზი

ოთხედი რომელისამე ლითონისა იმდენადვე ჰღირს, რაც ერთი გირვანქა იგივე ლითონი; ამ გვარად თითოეული ნაჭერი შეიძლებოდა იქამდის გაენაწილებინათ ვიდრე სასყიდელ ნივთის საფასოდ არ გახდებოდა, ხოლო დანარჩენი ნაჭრებიც არც ფასსა და არც მნიშვნელობას არა ჰკარგავდა.

ამ გვარად, პირველ დაკვირვებისათანავე ლითონს სამი უპირატესობა გამოაჩნდა: ადვილ წასაღებლობა, ერთგვარ ფასიანობა და ადვილ დასანაწილებლობა, ერთის სიტყვით, ლითონი გახდა ნამდვილ გარდასაცვლელ ნიშნად და დიდი ამაგიც მიუძღვის შემდეგში შრომის განაწილებისგან ვითარების საქმეში.

მართალია ლითონის გადასაცვლელ ნიშნად ხმარება უფრო ჩვენს ეხლანდელ ფულს წაგავს, მაგრამ მაგარი ის იყო, რომ მაშინ შონა არ იცოდნენ და ლითონების ნაჭრები ყოველთვის ერთი და იგივე წონის არ მოდიოდა, ამისათვისაც სისწორე ვაჭრობაში აქაც შეუძლებელი იყო; მართალია, ბრინჯაოს და რკინის მეტ-ნაკლებობის დროს გული არა ვის დააკლდებოდა, მაგრამ სულ სხვა საქმე იყო ოქროსა და ვერცხლის გადასაცვლელ ნიშნად ხმარების დროს; ამისთვის ჯერ ლითონს გააღნობდნენ და ერთი და იგივე სიღრმის ყალიბებში ჩაასხამდენ, ხოლო მერე თანასწორ სიგრძეზე დასჭრიდნენ; ამგვარ ჯოხების მზგავსს ლითონს ფულად ჰხმარობდნენ რომაელები; მაგრამ არც ეს აკმაყოფილებდა ვაჭრობის წვრილმან მოთხოვნილებას, ამისთვისაც გამოიგონეს სასწორი, დაიწყეს ხორბლის მარცვლებით წონა და ყველა ლითონს თანასწორი წონა მისცეს; ფულისათვის ამ დროს ხუთგვარ ლითონსა ხმარობდნენ: ოქროს, ვერცხლს, ბრინჯაოს, რკინას და ელექტრონს. ამათ შორის რკინა როგორც იაფი ლითონი და მძიმე—ხმარებიდგან ადრე გამოვიდა, ხოლო სპარტაში-კი იგი კიდევ დიდხანს იხმარებოდა. სასწორის გამოგონების შემდეგ ლითონი გადიქცა ფულად, მაგრამ ეხლანდელ ფულისაგან იმითი განირჩეოდა, რომ მაშინ იგი გაუწმენდელი იყო და ყველა ნაჭერი ერთისა და იმავე ლითონისა ყოველთვის ერთისა და იმავე ღირსების არა დაებოდა. ამისთვისაც ლითონს დაუწყეს წმენდა, შემდეგ დარჯაკში სჭრიდნენ და ისე ჰხმაროობდნენ ვაჭრობის დროს. ფულის დარჯაკით მოჭრა მთავრობაზედ უფრო ადრე ვაჭრებმა სცადეს. ბრიტანიის მდიდარ მუზეუმში ინახება ერთი უძველესი ფული, რომელიც ქრისტეს დაბადებამდის 8 საუკუნის წინად ყოფილა მოჭრილი; ამ ფულის ერთს გვერდზედ ალარაფერი სჩანს, ხოლო მეორეზედ ირემი ჰხატია და ზედ შემდეგი წარწერა აქვს: „მე ვარ განსაკუთრებითი ნიშანი ფენიკესისა“. ვინ იყო ეს ფენიკსი. არ ვიცით და ვერც გავიგებთ, ხოლო უნდა ვიფიქროთ, რომ იგი მდიდარი ვაჭარი ვინმე იქნებოდა. შემდეგში ვაჭრებს წაჰბაძეს მეფეებმა და რესპუბლიკის მმართველებმაც და თითქმის ისტორიის დასაწყისშივე ვხედავთ ფულის ჭრასა და ხმარებას, რომელიც მარტო მთავრობის კუთვნილებას შეადგენდა.

იმის გამოსარკვევად, თუ როგორ განვითარდა ფულის მოჭრის საქმე შემდეგში, ჯერ ადგილი არ გვაძლევს ნებას და დაუსურათებლათაც გაუგებარი იქნება, მაგრამ ერთს გარემოებას ეს-ეს ეტყვიან. ეს ეს ეტყვიან, ეს ეს ეტყვიან, ეს ეს ეტყვიან,

რება დატრიალდა. ამ სოფლისავე მცხოვრებელი გლეხი იორამ კილასონია დაითრო არყით, ანთება გაუჩნდა და თორმეტის საათის განმავლობაში დალია სული. აი გარემოება ამ საქმისა: გლეხის ყარაშან საგანელიძის დუქანში სვამდნენ ღვინოს აზ. ვ—ო ჯ—ძე და რ—ნ გ—ძე, რომელთაც შეესწრო იორამ კილასონია. იორამს, რასაკვირველია, ღვინო შეაძლიეს. ღვინო არ დალია და მედუქნეს არყის მოტანა უბრძანა. მედუქნემაც, რასაკვირველია, მისი ბრძანება შეასრულა და მოუტანა ნახევარი ბოთლი არაყი. საწყალს გლეხს არ დაულევია ბოთლიდგან სული ოთხი-ხუთი ჭიქა, რომ უცბად დაბარბაცდა, მიწაზედ დაეცა და სახითაც საშინლად გაშავდა. რადგან სოფ. ამბროლაური ამ სოფელზედ ძალიან ახლოა, ე. ი. სამი ვერსით დაშორებულია, და იქვე ეგულებოდათ ექიმი, ჭირისუფალთ კაცი აფრინეს ექიმის გამოსაყვანად. ექიმი კაი ხნის ყოყმანის შემდეგ მოვიდა და დახედა ავადმყოფს, მაგრამ არა უწამლია-რა, მაშინვე უკან გატრიალდა და სთქვა: „მთვრალიაო“. საწყალმა ნაშუადღევის პირველ საათზედ ავად გამხდარმა გლეხმა მეორე დღის ათ საათამდე იცოცხლა და მერე-კი დალია სული.

⁂ მცხეთა. უკანასკნელ კვირის წვიმებმა დიდად დააზარალა მცხეთის ტაძარი. წვიმა ჩამოვიდა ტაძარში და ბევრგან აჰყარა ჭერს კირი.

⁂ გდანი, (ტფილისის მაზრა). 6 ივლისს ბ-ნმა სააკოვმა თავი მოუყარა აქაურ მცხოვრებლებს იმ ფულით ნაყიდ პურის დასარიგებლად შარშანდელის მოუსაკლობით დაზარალებულთა შორის, რომელიც გამოჰგზავნა ეკრძო საეკონომიო საზოგადოებამ. დაზარალებულთა რიცხვი დიდი იყო და ამიტომ პური დაურიგდათ მხოლოდ დიდად გაჭირვებულთ. საერთოდ დაურიგდათ 50 ფუთი პური.

საშეგრელოს სამღვდელოების დეპუტატთა კრება.

25 ივნისს, ახალ-სენაკში კრება ჰქონდათ სამეგრელოს სამღვდელოების დეპუტატებს. კრებამ თავმჯდომარედ აირჩია მღ. ს. თათარიშვილი. თავმჯდომარე კრებას, სხვათა შორის, შეეკითხა, რა აზრისანი ხართ სასწავლებლისათვის საკუთარის სახლის აშენების შესახებაო. ავაშენოთ ახალი სახლი, თუ დადგმული იყიდონ სენაკშივე. ამ ჩვენის სამღვდელოების საჭირ-ბოროტო საქმემ, რომლის გარდასაწყვეტად არა ერთხელ ჰქონიათ ბჭობა-თათბირი, დიდი კამათი გამოიწვია კრებაზედ. თითქმის ორი დღე მოანდომეს ამ საქმეს, მაგრამ დასასრული მაინც არ მიეცა. ზოგი იმ აზრისა იყო, რომ ახალი შენობა დავიწყოთო, ზოგი-კი ამისი წინააღმდეგი იყო, რადგანაც სასწავლებლისათვის ისეთის ახალის შენობის აგებას, როგორიც მთავრობისაგან ნაბრძანებია, ვერ შევიძლებთ ხელ-მოკლეობისა და სიღარიბისა გამოო. ამიტომ უნდოდათ დადგმული შენობა ეყიდნათ და თუ შეკეთებაც დასჭირდებოდა, შეეკეთებინათ კიდეც იმ ფულიდგან (31,000), რომელიც სასწავლებლის ახალის შენობისათვის ჰქონიათ. ეს 31,000 მანეთი ახალის შენობის აგებას არა ჰყოფნის. ამ ფულში 8,000 მანეთი კიდევ ხელთ არა ჰქონიათ. ბოლოს რის ვაი-ვაგლახითა და დიდის ბაასის შემდეგ ყველანი შეთანხმდნენ და იმ აზრს დაადგნენ, რომ უწმიდესს სინოდს სთხოვონ დახმარება სასწავლებლის ახალის შენობის ასაგებად, რადგანაც სამეგრელოს სამღვდელოება ნივთიერად ძლიერ ღარიბია და დაუხმარებლად ამ ხარჯს ვერ იკისრებსო.

ამგვარად, ახლანდელს კრებასაც ჯერ ვერაფერი გარდაუწყვეტია სასწავლებლის სამუდამო ბინის შესახებ. ეს რამდენიმე წელიწადია, რაც სამეგრელოს სამღვდელოება იმისს ცდაშია, რომ როგორმე საკუთარი შენობა შეიძინოს, მაგრამ საქმე მაინც წინ არ მიდის. ეხლა სასწავლებლის სახლის ქირას ყოველ წლობით ათასს მანეთს იხდიან. იმედია, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი, ყოვლად უსამღვდელოესი ალექსანდრე ყურადღებას მიაქცევს ამ საქმეს და, კრების ეხლანდელ გარდაწყვეტილების თანახმად, იშუამდგომლებს, სადაც ჯერ არს, ამ ნაკლის ასაცილებლად.

ტელეფონი

წერილი სილნაღის მაზრიდგან

(უკანა მხარი)

ძნელად წარმოსადგენია ის უკიდურესი სისაწყლე, რომელშიაც ყელამდის ჩაფლულა უკანამხრის და ბევრი წინამხრის სოფლებიც. საკუთარის თვალით თუ არ გინახავს, მკითხველო, აქაური სოფლები, დაახლოვებითაც ვერ წარმოიდგენ იმ სიღატაკეს და უნუგეშო მდგომარეობას, რომელშიაც ღღეს იმყოფება აქაური გლეხობა.

ჩვეულებადა მაქვს, სოფლად რომ მივდივარ, ქინაქინა და სხვა უბრალო წამლები მიმაქვს სოფლად ჩემის ოჯახისათვის. მოვალ თუ არა, მოსვენება არა მაქვს ავადმყოფების პატრონებისაგან: ღღე ერთია და მომსვლელი ათი; ზოგი ციებ-ცხელების წამალსა მთხოვს, ზოგი მუცლის ტკივილისას, ზოგი—რისას და ზოგი—რას.

აგერ მოვიდა შიშისაგან თავ ზარდაცემული წვრილ-შვილი დედაკაცი, რომელიც ცხარე ცრემლით იმდურება; მთხოვს, წავიდე, ვნახო მისი ავადმყოფი ქმარი და ვუშველო რამე. რას იზამ, ძალაუნებურად მიდიხარ, რომ ანუგეშო მაინც საცოდავი დედაკაცი, რადგან ექიმობისა თქვენს უმორჩილესს მონას მაგდენი არაფერი გაეგება. შედიხარ სახლში და საცოდავი სურათი წარმოგიდგება თვალ-წინ. ავადმყოფის სახლი აშენებულია წიფლის ფიცრისაგან და დამყარებულია ხის საძირკველზედ. საძირკველსა და დედამიწის შორის აქ-იქ ცარიელი ადგილები დარჩენილა, რომელნიც პატრონს ქვებით გამოუვსია, მაგრამ იმდენი ჯუჯრუტანები დარჩენილა, რომ კატა, თაგვი და სხვ. ცხოველი ადვილად გაძვრებ-გამოძვრება. ქარი და სიცივე ხომ თავისუფლად ნავარდობენ სახლში. შუა ადგილას დაინახავთ კერას, სადაც ზამთრობით ცეცხლი ანთია, რომლის კვამლი თავისუფლად იშლება მთელს სახლში და ყველაფერს თავისს ფერსა და იერსა სძენს. კარი სახლისა ზამთარ-ზაფხულ ღია უნდა იყოს, რომ სახლში სინათლე შევიდეს, რადგან ფანჯრის სახსენებელი იქ არ მოიპოვება. ჭერი სახლისა შესდგება ან ლასტისა, ან რამდენისამე ფიცრისაგან, რომლებიც ერთმანეთზედ ისეა მოშორებული, რომ, თუ სიფრთხილით არ გაიარე, ფეხი ჩაგივარდება და ფეხთან კისერსაც მოიტეხ; სახურავი ან ლერწმისაა, ან კრამიტისა, იატაკი აყალო მიწისაა და მუდამ ცივი და ნოტიოა. აი, ამგვარს სახლში ვნახე საწყალი ავადმყოფი კაცი. უბრალოდ გაჩორკნილს ფიცრებზედ დაფენილი იყო რუსის დაგლეჯილი ფარაჯა, რომელიც ლეიბის მაგივრობას ეწეოდა, ფარაჯაზედ იწვა ავადმყოფი, რომელსაც საბნის მაგივრად ზემოდგან ცხვრის ტყავის ტყაპუჭი ეხურა; ტყაპუჭი ხმარებისაგან ისეთი დაგლეჯილი და დაწეწილი იყო, რომ ვეღარ გაარჩევდი, რომელი მხარე იყო სარჩული, რომელი საპირე; ბალიშის მაგივრად ბარკაკალზედ რალაც ძონძები ეყარა; როგორც სჩანდა, უბედურს ტანისამოსი ლოგინად გადაექცია და ლოგინი—ტანისამოსად. ყველაფერს ამას ისეთი გამურული ფერი ეღო და ისეთი ჭუჭყი და მყრალი სუნი ჰქონდა, ძალიან კერპი ყნოსვა უნდა ჰქონოდა ადამიანს, რომ დიდ ხანს შესძლებოდა იქ ყოფნა. ავადმყოფი-კი ამ ლოგინში იწვა და მეტი-მეტის სიცხისაგან გონება დაჰკარგოდა: როცა ავადმყოფი ცივის წყლით გონზედ მოვიდა, თვალები აახილა და ძროხასავით შემომბღავლა: „მიშველე, შენი ჭირიმე, ღვთის გულისათვის, მე ვერ გადაგიხდი სიკეთეს, ღმერთი დიდია, ის გიზამს ჩემს მაგიერს“

— ლოგინი გაუშალე, მელანია, ვუთხარი მე გულ მტკივნეულობით ავადმყოფის ცოლს. ასე ავათმყოფის წოლა არ ვარგა!

— უი, შენმაც გენაცვალები, მითხრა თვალცრემლიანმა: ლოგინი რომ გვქონდეს, რიღას ღარიბები ვიქნებით!..

ეს რომ სთქვა, პირი კედლისაკენ მიიბრუნა, რომ ქმრისათვის ცრემლები არ დაენახვებინა.

— მაშ ზამთარსაც ასე ატარებთ?

— ზამთარშიაც ასე ვართ, შენი ჭირიმე როგორც ზაფხულში, მიპასუხა გულ-დადაგულმა დედაკაცმა.

— სტაქანი მომიტანე, მელანია, რომ ავადმყოფს გასაწმენდი ზეთი დავალევინო. მომიტანა საწყალმა ერთი პირ-მოტეხილი სტაქანი, რომელიც ბოლისაგან შიგნიდგანა და გარედგან ისე გამურულიყო რომ ჭიქა აღარა სჩანდა. ღმერთო შეგცოდე, შემეზიზღა ის დედაკაციც და ის სახლიც: მთელს სახლს ედვა ბეჭედი უწმინდურებისა, სიბნელისა და უცოდინარობისა.

თაროსაკენ რომ მივიხედე, ოთხიოდე თიხის ჯამი დავინახე, იქვე ეწყო ორიოდე თიხის ქოთანი, ერთი გამურული ყურიანი ქვაბი, რომელსაც არაოდეს მოკალვა არა ჰღირსებოდა. მიუმატეთ ამას თიხისავე საღუღარი, კოკა და ორი ღვინის ხელადა და სავსებით წარმოიდგენთ ამ ოჯახის ჭურჭელს.. ხის ავეჯიო? იკითხავს გაკვირვებული მკითხველი. მაგრამ უმჯობესია აქ გავჩუმდეთ, რადგან აქაურმა გლეხმა არ იცის, ხის ავეჯი რა არის! ბარკაკალისა და ვარცლის გარდა, მე იმ სახლში სხვა ხის ავეჯი არ დამინახავს.

იქნება იფიქროთ, რომ ამისთანა ოჯახი სოფელში ერთი-ორი იქნებაო. ნეტავი ეს ასე იყოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი ამბავი საზოგადო მოვლენაა და არა განკერძოებული, და ჩვენი უბედურებაც ეს არის!...

თ. ზიარელი

რუსეთი

—

უწმიდესის სინოდის სამოსწავლო საბჭომ, საჭიროდ იცნო-რა იმის გამოკვლევა, თუ რომელ ეპარქიაში უფრო უმჯობესია, რომ ამ ჟამად დაარსებულ იქმნას სამასწავლებლო სემინარიები სამრევლო სასწავლებლების მასწავლებელთა მოსამზადებლად ამ სასწავლებელთა გამრავლებისა გამო, ბრძანება დაუგზავნა ყოველ ეპარქიის საბჭოს, რომ რაც შეიძლება მალე გვაცნობეთ, საჭიროა თუ არა ამ გვარ სემინარიის დაარსება და სად უნდა იქმნას იგი დაარსებულიო. მასწავლებელ ქალთა თუ კაცთა მოსამზადებელი სემინარია უნდა იქმნას დაარსებული ან საბჭოს შეუძლიან თუ არა აღმოაჩინოს ისეთი წყარო, საიდგანაც დახმარებას გაუწევს ხაზინას სემინარიის დაარსება-შენახვის საქმეშიო.

— მთავრობას განსახილველად წარედგინა ახალი პროექტი ისეთის კრედიტის დაარსებისა, საიდგანაც სოფლის მეურნეთ სესხი უნდა მიეცეთ ცხენების სასყიდლად. პროექტის ძალით, ყოველ სოფლის მეურნეს შეუძლიან ისესხოს 30 მან. ცხენის სასყიდლად სამის კეთილ-საიმედო კაცის თავდებობით და სესხი შეუძლიან გაისტუმროს 6 წლის განმავლობაში. ვიდრე ვალს არ გარდაიხდის, პატრონს ნება არ ექმნება ცხენი გაჰყიდოს.

— მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ დაადგინა პარიჟის 1900 წლის გამოფენისათვის დაამზადოს ვრცელი აღწერა რუსეთის სასოფლო მეურნეობის ყოველ-გვარ დარგის აწინდელ ყოფა-მდგომარეობის შესახებ.

უცხოეთი

—

ესპანიისა და შეერთებულის შტატების ომი. გაზეთი „Daily News“-ის კორესპონდენტი სწერს ესპანელებსა და ამერიკელებს შორის ზღვაში მომხდარ ბრძოლის შესახებ: „სერვერის ესკადრის განადგურების შემდეგ, ესპანიის იმ ზღვაოსნებს, რომელნიც ტურვით სანტ-იაგოსაკენ გაეშურნენ, კუბელებმა ნაპირებიდგან ტეკიები დაუშინეს და გზა აღარ მისცეს. გატანჯულ და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ მტურავთ ისე გაუჭირდათ საქმე, რომ უკან მობრუნდნენ და პირდაპირ თავიანთ მტერების ამერიკის გემებისაკენ წავიდნენ: მათ ტყვედ ჩავარდნა არჩიეს ზღვაში კუბელების უმოწყალო ტეკიისაგან სიკვდილს. ამერიკელები სიხარულით მიეგებნენ მისუსტებულ ზღვაოსნებს და თავიანთ გემებზედ გადასხეს. ერთის გემის უფროსმა დაინახა, რომ რამდენიმე კუბელი თოფებს ესროდა უმისოდაც ღონე გამოლეულს ესპანელს. მაშინვე უფროსმა ნაპირზედ მთელი რაზმი გაგზავნა და ძალად გაარეკინა კუბელები. სხვა გემების უფროსებიც ასევე იქცეოდნენ. ამერიკელებმა მრავალი ესპანელი გადარჩინეს დახრჩობასა და კუბელებისგან ამოყლეტას. ამერიკის ერთის გემის უფროსმა სთქვა, რომ 110 კაცი გადავარჩინე სიკვდილისაო. ეს კაცები სრულიად ტიტელები იყვნენ, ტანზედ აღარაფერი აღარ ეცვათო. ბევრი მათგანი დაჭრილ-დაკოდილი იყოო. ამბობენ, რომ ესპანელები ნავთ-სადგურიდგან გამოსვლისას სასიკვდილოდ მოემზადნენ; უკელამ, როგორც ოფიცრებმა, აგრეთვე ზღვაოსნებმა საუკეთესო ტანისამოსი ჩაიცვეს და საბრძოლველად ისე გამოვიდნენო“.

— რადგანაც ხმა გავრცელდა, რომ ამერიკელებს აზრად აქვთ კუბა თავიანთ სახელმწიფოს შეუერთონო, ამიტომ კუბის მკამბოსეთა წინამძღოლს მაქსიმო გომეცს უთქვამს, რომ ამერიკელები დაგვიბრდნენ თავისუფლებას და თვით მმართველობას მოგანიჭებთო, ხოლო თუ ეს არ ასრულეს და კუნძულს თვითონ დაეპატრონნენ, მაშინ ჩვენ ბრძოლაც ამერიკელებს დაუწყებთო.

— ამ ბოლოს დროს, როგორც ესპანიაში, აგრეთვე ამერიკაში მოუხშირეს ზავის შესახებ ლაპარაკს. ესპანიაში ხალხი დიდისანია მოწადინებულია ზავს, გაზეთები ხომ ერთხმად გაიძახიან, დროა ბოლო მოეღოს ამ ხალხის და ქვეყნის გამთანხმებელ ომსაო. წინააღმდეგია ზავისა მხოლოდ მთავრობა, კუბის გენერალ-გუბერნატორი ბლანკო, რომლის სიტყვასაც დიდი გასაგები აქვს მთავრობის თვალში. მაგრამ გაზეთების სიტყვით, ამ ბოლოს დროს მთავრობაც აღარ არის წინააღმდეგი ზავისა და თუ ეხლა არაფერს ამბობს, ეგ მხოლოდ იმიტომ, რომ ეშინიან დონ-კარლოსისა, რომელმაც სთქვა: „თუ მთავრობამ ზავი მოითხოვა, ამბოხებას მოვახდენ და სამეფო ტახტს დავისაკუთრებო!“ რაც შეეხება ამერიკას, იქ ესპანიაზედ ნაკლები არ არიან მოწადინებული ზავს. ამერიკას ამ ომმა ძალიან დიდი ზარალი მიაყენა: მართალია, ბრძოლის ველზედ იმათმა ფლოტმა და ჯარმა გაიმარჯვა, მაგრამ სამაგიეროდ, ომმა ძალიან შეაფერხა მათი ვაჭრობა მრეწველობა. ამ ორის-სამის თვის განმავლობაში მრავალი მილიონერი გაკოტრდა; უთვალავმა ქარხანამ მუშაობა შეწყვიტა და უცხო-ქვეყნიდგან მოტანილის ბეგრის საქონლის ფასმა შესამჩნევად აიწია. ზარალის გარდა ამერიკელებს იმისიც ეშინიათ, რომ ამ ომში ევროპის სხვა სახელმწიფონიც არ ჩაერიენენ და საქმე ერთი-ორად უფრო არ გაძნელონო. ამიტომ ყველანი მოწადინებული არიან ომის მოსპობას და ზავის დადებას.

— კარგა ხანი იქმნება, რაც დეპეშას ფილიპეს კუნძულებიდგან აღარაფერი ამბავი აღარ მოუტანია. ამერიკელებმ მთელი თავის უურადღება კუბას მიაქცევს, ხოლო ფილიპეს კუნძულები მეამბოხეთა ანაბარა დასტოვეს. მას შემდეგ, რაც ადმირალმა დეეეიმ მანილაში მეოთი ესპანიის ესკადრა გაანადგურა, ამერიკელებს თითი არ გაუნძრევიათ და იქ ბრძოლა აღარ განუახლებიათ. წინად გაზეთები იმას ამბობდნენ, რომ დეეეი ჯარს მიელის ამერიკიდგანაო. როდესაც ეს ჯარი მივა, დეეეი ნაპირზედ გადავა და მთელ კუნძულ დაიპყრობსო, მაგრამ ჯარი დღესაც არსადა სჩანს. ნამდვილად არც კი იცის კინმემ, ამერიკამ გაგზავნა თუ არა ჯარი ფილიპეს კუნძულებისაკენ. ასე თუ ისე, ფილიპეს კუნძულები დღეს მეამბოხეთა ხელშია. მათი წინამძღოლი აგვინაღდო სრუ-

ლი მეფეა ამ კუნძულებისა. ისე დღე არ გავა, რომ აგვინაღდომ მანიფესტი არ გამოსცეს. სხვათა შორის, აი, რა სწერია იმის უკანასკნელ მანიფესტში „ჩვენმა სიდიდემ ნათლად დაუმტკიცა მთელ ქვეყანას რა ძლიერი და ყოველის შემძლეა იგი. კარდა ამისა მას ისე კარგად და წესიერად ეჭირა თავი, რომ უველას სიყვარული და თანაგრძნობა დაიმსახურა. დღეს უველასათვის აშკარაა, რომ ასეთი ხალხი მონობისათვის არ არის გაჩენილი. პირ-იქით იგი განგებისაგან მოწოდებულია დიდი და საქვეყნო საქმის გასაგეთებლად. ჩვენ ხალხს საკმაო ძალა და ღონე აქვს, რომ გაიმრთელოს უველა ის ჭრილობა, რაც ესპანიის უსამართლობამ მიაყენა, და საპატიო ადგილი დაიჭიროს თავუსუფალ ერთა შორის“.

—

საფრანგეთი. დრეიფუს-ესტერგაზის საქმემ ხელ-ახლად აალაპარაკა საფრანგეთი და იმასთან ერთად მთელი ევროპაც. ეს საქმე მსოფლიოდ დროებით მიეუწდა პარლამენტის არჩევნებისა გამო. ეხლა-კი, როდესაც ახალმა პარლამენტმა მოქმედება დაიწყო, ამ საქმემაც თავი ხელ-ახლა წამოჭყო. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. როგორც დრეიფუსის მომხრეები, ისე იმის მოწინააღმდეგენი მოელოდნენ, რომ ახალი პარლამენტი სიმართლეს აღმოაჩენს და ბოლოს მოუღებს ამ საქმესაო. წინანდელის სამინისტროს ეოუმანით უკმაყოფილოთ, დრეიფუსის წინააღმდეგ იმედი ჰქონდათ, რომ ახალი სამინისტრო მიკიბ-მოკიბვას თავს გაანებებს და პირდაპირ გამოაქვეყნებს იმ ქაღალდებს, საიდანაც დრეიფუსის დანაშაულობა მტკიცდება. მეორეს მხრით, დრეიფუსის მომხრეები ჰფიქრობდნენ, რომ ახალი სამინისტრო უფრო სამართლიანად მოიქცევა, ეოველგვარ საიდუმლოებას ფარდს აჭხდის და სასამართლოს დრეიფუსის საქმის ხელ-მეორედ გარჩევის ნებას მისცემსო. სწორედ ამ აზრით შეეკითხა ამას წინად პარლამენტის ერთი დეპუტატი სამხედრო მინისტრს კავეინიაკს დრეიფუსის საქმის შესახებ. დეპუტატი შეეკითხა სამინისტროს, გამოაცხადეთ რა აზრისა ხართ დრეიფუსის საქმის შესახებ, დარწმუნებული ხართ თუ არა, რომ დრეიფუსი დამნაშავეა, ხოლო თუ დარწმუნებული ხართ, რატომ უველას არ აუწყებთ მაგას და ბოლოს არ მოუღებთ დრეიფუსის მომხრეების თავგასულობასაო. კავეინიაკმა კრცელი სიტყვა წარმოსთქვა და გადაჭრით განაცხადა, რომ დრეიფუსი დამნაშავეა და სამართლიანად არის დასჯილიო. სხვათა შორის კავეინიაკმა წაიკითხა სამი საბუთის ქაღალდი, საიდანაც, იმის აზრით, აშკარად მტკიცდება, რომ დრეიფუსი დამნაშავეა, სამიგე ეს საბუთის ქაღალდი წერილებია — უვნო სახელმწიფოს ოფის აგენტისა ერთი მეორესთან მიწერილი. პირველ წერილში, რომელსაც თარიღათ 1894 წლიწადი აზის, სწერია: „გუშინ საღამოს, როგორც იქმნა, კაცი გავგზავნე ეჭიმთან, რომელმაც აღმოაჩინა გარეთ გამოსული. რადგანაც მე არ შემიძლიან ხვალ თქვენთან მოვიდე, გთხოვთ თქვენ თვითონ, შემოიარეთ ჩემთან. დ... მა მრავალი საინტერესო ქაღალდი მოიტანა და ჩვენ საქმე უნდა გავინაწილოთ, რადგანაც მხოლოდ ათი დღე ღა დაგვრჩენია“. მეორე ქაღალდში სწერია: „ძალიან გწუხვარ, რომ წასვლის დროს ვერა გნახეთ. გიგზავნით 12 გეგმას, (აქ მოუყანიდია სახელწოდება საფრანგეთის ერთის ციხისა), რომელიც იმ საძაგელმა დ...მა მომიტანა თქვენთვის გადმოსაცემად“ და სხვა. მესამე საბუთის ქაღალდი დაწერილია 1896 წელს. ერთ-ერთი ზემოდ დასახელებულ აგენტთაგანი სწერს მეორეს: „მე გავიგე, რომ ერთს დეპუტატს აზრად აქვს პარლამენტში ლაპარაკი აღძრას დრეიფუსის შესახებ. მე კიტუვი, რომ ამ ურიასთან არასოდეს საქმე არ დამიჭერია მეთქი. ეს უკვე გადაწყვეტილი მაქვს. თუ თქვენა გკითხეს, თქვენც იგივე სთქვით, რადგანაც საჭირო არ არის იცოდეს ვინმემ როდესმე ამ კაცის საქმე.“ დრეიფუსის მოწინააღმდეგენი დიდის სიხარულით მიეგებნენ ამ საბუთის ქაღალდებს და საზოგადოდ კავეინიაკის სიტყვას. იმათმა გაზეთებმა სიხარულით განაცხადეს, რომ ეხლა-კი ბოლო მოეღება დრეიფუსის საქმესაო, კავეინიაკის მიერ გამოქვეყნებული საბუთები აშკარად ამტკიცებენ, რომ დრეიფუსი დამნაშავეა და ამიტომ კანონიერად იქმნა დასჯილიო. სულ სხვა თვალით შეხედეს ამ საბუთის ქაღალდებს დრეიფუსის მომხრეებმა. აი, რა შინაარსის წერილი გაუგზავნა პოლკოვნიკმა პიკარმა მინისტრ-პრეზიდენტს ბრისონს: „ბატონო მინისტრ-პრეზიდენტო! დღემდის არ შემეძლო ოვაისუფლად მეღაპარაკა იმ საბუთის ქაღალდების შესახებ, რომლის შემწეობითაც სტდიოლბდნენ დრეიფუსის დანაშაულობა დამტკიცებინათ. დღეს-კი, როდესაც ბ-ნმა სამხედრო მინისტრმა სამი ამ საბუთის ქაღალდთაგანი პარლამენტში წაიკითხა, მე კალდებულად მიმაჩნია შემდეგი განვაცხადო: მე მზადა ვარ ეოველ სასამართლოს წინაშე დავამტკიცო, რომ ორი საბუთის ქაღალდი, რომელთაც 1894 წლის თარიღი აზით, დრეიფუსს არ შეეხება, ხოლო ის, რომელსაც 1896 წელი აზის — ყალბია. მაშინ ეველასათვის აშკარა იქმნება, რომ ბ-ნი სამხედრო მინისტრი შეცდომაში იქმნა შეყვანილი. შესცდა აგრეთვე ეველა ის, ვინც დიდს მნიშვნელობას აძლევდა პირველ ორ ქაღალდს და ჭეშმარიტად მიაჩნდა მესამე ქაღალდის შინაარსი.“ ამ ორ-სამ დღეში ახალი არაფერი მოსულა ამ საქმის შესახებ. დეპეშამ ამბავი მოიტანა მხოლოდ, რომ დაპატიმრებულ იქმნა, რა გორტ პიკარი, აგრეთვე ესტერგაზიო, მაგრამ რა მიზეზისა გამო, ამას დეპეშა არ იუწყება.



—

სამოსლის ელჩებს უნდოდათ იძულებულ ეყოთ სპარტანელები და პოლიგარქიისათვის ომი გამოეცხადებინათ, ამიტომ სპარტანელთა მეფის ჯლეომენის წინაშე ძალიან გრძელი სიტყვა წარმოსთქვეს. მეფემ, მოისმინა რა სიტყვა, უპასუხა:

— თქვენის სიტყვის დასაწყისი აღარ მახსოვს, ამის გამო სიტყვის შუა ადგილის აზრი არ მესმის, ხოლო რაც შეეხება დასასრულს, მაგას-კი არ ვეთანხმებიო.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲒᲐᲜ

(ამოკრებილი ამბები)

ამერიკის ნიუ ჯერსეის შტატში შემდეგი ახირებული ამბავი მომხდარა. მოსამართლემ გაასამართლა ბრალდებული და ეს ბრალდებული თვით მოსამართლე გახლდათ. აი როგორ მოხდა ეს ამბავი: მოსამართლე ველოსიპედით მიეჩქარებოდა სასამართლოში, მაგრამ ძლიერ უგვიანდებოდა, რადგანაც ქუჩაზე მრავალი ეტლი მიდიოდა და ამდენივე ხალხი ირეოდა ქვა-ფენილზედაც. მოსამართლე ველოსიპედით დაადგა ქვა-ფენილს, მაგრამ ამ დროს გაჩნდა პოლიციელი და გააჩერა. მოსამართლემ ეს არ იწყინა და სთხოვა, პირდაპირ ქალაქის ამ ნაწილის სასამართლოში წამიყვანეო, პოლიციელმა მიიყვანა სასამართლოში და ბრალდებულმა, რომელიც ამ ნაწილის მოსამართლე იყო, დაიწყო საქმის გარჩევა. ჯერ თვისი ჩვენება ჩასწერა, ვითარცა ბრალდებულისა და მერე შემდეგი განაჩენი დაადგინა: ბრალდებული დამნაშავეა იმაში, რომ ველოსიპედით დადიოდა ქვა-ფენილზე და უნდა გადიხადოს ჯარიმა 1 დოლარი (დოლარი 2 მანეთია) და სასამართლოში საქმის საწარმოებელი ხარჯი 2 დოლარი და 75 ცენტი. მერე ამოიღო ჯიბიდგან, გადმოთვალა 3 დოლარი და 75 ცენტი. აქედგან გადათვალა 2 დოლარი ქალაქის სასარგებლოდ, 20 ცენტი დანაშაულის აღმომჩენელს მისცა, ე. ი. პოლიციელს და დანარჩენი 1 დოლლარი და 95 ცენტი მოსამართლემ ისევ ჯიბეში ჩაილაგა. ასე კანონიერად დამთავრდა ეს ახირებული საქმე.

* * *

შესანიშნავმა არტისტმა იოაჰიმმა ბერლინის ერთს სასამართლოში მთელი კონცერტი გამართა. ერთმა კაცმა სამუსიკო იარაღის ვაჭარს უჩივლა, ხუთ მარკად ($2^1/_2$ მანათად) პიანური მომყიდა და გროშად არა ჭღირსო, ვთხოვ სასამართლოს — ეს ფული უკან დააბრუნებინოს ვაჭარსაო. სასამართლომ გადასწყვიტა მოიწვიოს ექსპერტად არტისტი იოაჰიმი. სახელ-განთქმული არტისტი მოვიდა სასამართლოში, აიღო ეს პიანური, დაუკრა ერთი ადგილი მენდელსონის კონცერტიდგან და აღტაცებაში მოიყვანა ყველა მსმენელნი და თან დასძინა, თქვენ თითონ გადასწყვიტეთ ეხლა, ბატონო მოსამართლევ, ვარგა ეს საშუსიკო იარაღი, თუ არაო.

* * *

პრაგას ერთს თეატრში თამაშობდნენ შექსპირის პიესას „რომეო და ჯულიეტა“. არტისტს ქალს ბენონის სათეატრო ხის ხანჯლის მაგიერად, რომელიც იმ წამს ვერ იპოვნეს, ბასრი ხანჯალი მიაწოდეს. უკანასკნელ მოქმედების დროს, როდესაც ჯულიეტამ თავი უნდა მოიკლას, ბენონმა ხანჯალი დაიკრა და მძიმედ დაიჭრა.

ᲨᲔᲛᲝᲬᲘᲠᲣᲚᲔᲑᲐ

ჩვენმა რედაქტორმა თ. ილია ჭავჭავაძემ მიიღო ივანე ორახელაშვილისაგან ბაიკალის იქითა მხრის სადგურ კაიდალოვოდგან (ჩინეთის რკინის გზის შტო) 30 მან. შემდეგის წერილით: „მოგვართმევთ თქვენდა მომართ ულრმესის პატივის ცემის ნიშნად და გთხოვთ, სადაც საჭირო იყოს, იქ გადასცეთ ქართულს საქველ-მოქმედო საქმეს“. მადლობას უხდის რა ბ-ნი რედაქტორი, ამითი აცხადებს, რომ ეს ფული გარდაეცა სათავად აზნაურო სასწავლებლისათვის შენობის ასაგებ ფონდის სასარგებლოდ.

ᲑᲐᲰᲛᲐᲠᲝᲡ ᲛᲔᲐᲒᲐᲠᲐᲙᲔᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ.

წარსულს წელში ქ-ნის ნატალია ქიქოძის თაოსნობით ბახმაროში გაიმართა გასართობი საღამო ასკანის წიგნთ-საცავის სასარგებლოდ. ამ საღამოდგან წმინდა შემოსავალი 34 მანეთი დღემდის ინახებოდა ასკანის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობაში. ეხლა-კი ჩემის დაპირებისამებრ ამ ფულით დავიკვეთე სხვა-და-სხვა ჟურნალ-გაზეთობა ბახმაროში წიგნთ-საცავის განყოფილებისათვის. პირველ ამ თვიდგან ასკანის წიგნთ-საცავის განყოფილება მიიღებს ბახმაროში: „ივერიას“, „კვალს“, „ცნობის ფურცელს“, „მოამბეს“, „კრებულს“, „ჯეჯილს“, „მეურნეს“, „Кавказъ“-ს, „Новое Обозрѣніе“-ს, „Кавказское Сельское Хозяйство“-ს, „Русское Богатство“-ს, „Миръ Божій“-ს, „Недѣля“-ს, „Нива“-ს, „Родина“-ს და სხვა-და-სხვა ქართულ-რუსულ წიგნებს. წიგნთ-საცავი იქნება საკუთარ ოთახში მოთავსებული.—

ვინაიდგან მე წელს არა მაქვს დრო მუდმივად დავრჩე ბახმაროში, იმედია, თვით პატივცემულნი ბახმაროს მეაგარაკენი აირჩევენ წიგნთ-საცავის გამგეს და კვლავაც არ მოაკლებენ ყურადღებას, რომ შემდეგ წლებშიაც შეეძლოს წიგნთ-საცავს არსებობა.

ს. ჭეიშვილი

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲒᲐ

ამითი აცხადებს ქ. ტფილისის მცხოვრებელთა საყურადღებოდ, რომ, საგუბერნიო მთავრობის ნებართვისამებრ, ყოველ-გვარ **ᲜᲐᲒᲐᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲐᲚᲐᲮᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲧᲠᲐ ᲜᲔᲑᲐ ᲓᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐ** მდ. მტკვრის შემდეგს ადგილებში:

მტკვრის მარჯვენა მხრივ:

1. ვერის აღმართის მახლობლად, ხიდის მარჯვნივ ოლგას ქუჩიდგან.
2. მნაკაკანის ხიდთან.

მტკვრის მარცხენა მხრივ:

3. ხოსროევისა და ზუბალაშვილის ქარვასლასთან, რიყის მხრივ, საქალაქო საჭირო ადგილების მახლობლად.
4. გოგილოს აბანოსთან.
5. მნაცაკანის ხიდის მახლობლად.
6. მუშტაიდის ვიწრო ქუჩასთან, რომელიც ჩადის მდ. მტკვარზედ.
7. ხელდახელ გადასაყრელ ნაგავისათვის პონდოევის ეზო ქვემო ავლაბრის ხიდთან, თათრების მეჩეთის მახლობლად.
8. ამათ გარდა ნაგვის გადაყრა შეიძლება მადათოვის კუნძულის ჩრდილოეთ მხარეს.

(3—ნ.—3)

(11—Მ—2)

ᲨᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲗᲔᲗᲠᲘ ᲞᲘᲚᲞᲘᲚᲘ

დანაყილი და გასასყიდად დამზადებული თუნუქის დაჭვრეტილ თავსახურიან კოლოფებში და მშვენიერს შუშებში, $^1/_{32}$-დგან 1 გირვანქამდის, დანაყილი და დამზადებული მოსკოვის

რ. კელერისა და ამხ.

ქარხანაში. ისყიდება ეველგან და ეველა დიდ ვაჭართან. ყალბ დანაყილ პილპილის დამზადება ისეთ ნაირად არის გავრცელებული, რომ ხშირად დანაყილი პილპილი უფრო იაფად იყიდება დაუნაყავზედ. ამხანაგობის იარლიკი „**რ. კელერი და ამხ.**“, როგორც ყველას მოეხსენება, უტუყარი თავდებია ამ საქონლის უნაკლულო ღირსებისა.

(3—Მ.—1)



ვეცხლისა



ოქროსა



ტფილ. გამოფენა.



ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ

ზეთიანის საღებავებისა (კრასკებისა)

ა. ა. თუთაევისა

პირველ მაისიდამ გადატანილია იარმუკიდგან მიხეილის ქუჩაზედ, საავადმყოფოს პირდაპირ, სადაც პუშკინისეული ბაღია, სახლი № 97. და მეორე განყოფილება საღებავებისა (კრასკებისა) ავლაბარშია, სირაჯხანის თავში. ორივ ალაგას საუკეთესოდ მზადდებიყოველნაირი ზეთის კრასკები და იყიდება დაშორებით სხვა წლებზედ იაფ ფასად. აგრეა თვე ვყიდით ლიტოგრაფიის კრასკებს როგორც გალესილს, ისრე მშრალს, მარას, ბრონძსკისტებს და სხვა, აქვე ვიღებთ ყველა ნაირად სახლების შეკეთებას, (რემონტს) როგორც ტფილისში, ისე სხვა საქართველოს ქალაქებში, მხოლოდ რკინის გზის სადგურების მახლობლად, საქონელი სხვა ადგილებშიაც გაიგზავნება ბეის გამოგზავნით 20% ფას დადებით.

(40—ნ.—8)

მსურს იჯარით ავიღო სახლი

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ

ერთისა ანუ რამდენისამე წლით

იჯარით სახლის გაცემის მსურველმა მიაკითხოს „ივერიის“ რედაქციას.

(5—უ.—2)

Дозволено цензурою, Тифлисъ 7-го Іюля. 1898 г. სტამბა Მ. ᲨᲐᲠᲐᲫᲘᲡᲐ და ᲐᲛᲮ. ᲡᲐᲒᲝᲑᲘᲡᲐ. რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ.